

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

ნინო კველიძე

საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ტურისტული  
ნაკადების ზეგავლენა საქართველოს ტურიზმის განვითარებაზე

სადოქტორო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება

შიფრი – 02

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2020 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში  
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი  
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფესორი მარინა მეტრეველი

რეცენზენტები: -----

-----

დაცვა შედგება 2020 წლის "\_\_\_\_\_" „\_\_\_\_\_“ \_\_\_\_\_ საათზე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების,  
საჯარო მმართველობისა და მენეჯმენტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო  
საბჭოს სხდომაზე. კორპუსი VI, აუდიტორია -----,  
მისამართი: თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ის ბიბლიოთეკაში,  
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო კოლეგიის მდივანი  
პროფესორი

/ ლ. კოჭლამაზაშვილი/

## ABSTRACT

The PhD thesis “impact of international tourism streams between Georgia and EU countries on Georgian tourism development”, refers to the identification of challenges as a result of tourism streams between Georgia and EU countries and their impact on the development of Georgian tourism, as well as researching and identifying the progress achieved in Georgian tourism and hospitality sector, how is implementing the Europeanization process of sectoral policy areas (tourism) in the non-EU countries. The paper studies the legislative and sectoral policy documents of tourism, analyzes the terms, the process of approximation and harmonization with European standards.

**Chapter I** of the research: "**Tourism development trends and current situation of Georgia and the EU**" consists of four sub-chapters.

1.1. "Potential of Georgian tourism sector, key challenges and their impact on the development of the Country's economy" - is reviewed and analyzed the context in which international tourism flows between Georgia and the EU countries are developed. In particular, it's emphasized Georgia's tourism potential, which adds to Georgia an extra charm to be recognized as a new, world-class tourist destination. The main challenges of the sector are described, which hinder the process of sustainable tourism development and an effective links with tourism markets with high-paying ability. Based on the country statistical data, is analyzed an impact of current tourism situation on country's economic development.

1.1.1. "Legislative framework and tourism policy in Georgia" – it's discussed the legislative framework and policies that underpin the development of international tourist flows between EU member states and Georgia. The analysis of tourism legislation is carried out and the comparative analysis has identified the problems of harmonization of Georgian tourism policy with EU standards. It is proposed that the tourism and hospitality terms provided by the law of Georgia be coincident with those of the EU and the UN World Tourism Organization. An important policy tool of the sector - Georgian Tourism Development Strategy 2025 developed in 2015 is analyzed.

1.1.2. "Modern methodology of tourism statistics and practice in Georgia" - It reviews and analyzes modern methods of producing tourism statistics in the European Union and compares it with current practice in Georgia. Compared to the EU ETIS methodology, current tourism statistics methods and means in Georgia do not fully reflect tourism trends. The sub-chapter suggests that in the process of approximation with the EU, it is important to record tourism statistics according to the EU approaches, on the basis of which the creation of a National Tourism Satellite Account will be an important step forward.

1.2. "Trends of tourism development in the EU countries, overview of legislation and policy" – It's discussed the trends and the role of the tourism industry in the EU as an organization and how the EU seeks to influence the internal tourism policy of its member states, despite the fact that in this field on organizational level is has relatively less “additional competences”, which came into force after the Treaty of Lisbon came into force. EU tourism development trends, analysis of existing legislation and policies play an important role in the sustainable development of Georgia as a developing country.

**Chapter II** of the research: "**International Tourism and Globalization**" consists of two sub-chapters:

2.1. "The connection of international tourism with the processes of globalization" - Defines aspects of globalization and their impact on international tourism; The positive and negative effects of globalization for the tourism industry are analyzed.

Today, international tourism is being developed in the context of an irreversible process of globalization that simplifies human traffic as well as the flow of services and goods internationally. In today's civilized world, international tourism is highlighted with special dynamic development.

2.2. "Conditions and factors for the formation of international tourist flows" - The formation of international tourism flows in the context of globalization and the relevant contributing factors and conditions are discussed. The internal and external motivation for the formation of international tourism flows is researched. International tourism flows in Georgia and the characteristics of EU visitors are analyzed. Georgia's example discusses the variables that influence the development of international tourism. EU tourism trends are studied.

**Chapter III** of the research: "**The Impact of Georgia-EU Cooperation on Sustainable Tourism Development of Georgia**" consists of two sub-chapters:

3.1. "Promotion of sustainable and high quality tourism flows between Georgia and EU countries" – The impact of cooperation between Georgia and EU countries on the development of sustainable tourism in Georgia was discussed and analyzed. The goals of the current Association Agreement and the Partnership and Cooperation Agreement have been compared and identified with the aim of identifying the impact of tourism within the framework of Georgia-EU cooperation. Discussed different types of economic cooperation mechanisms between the EU countries and Georgia, which helped to highlight the prospects of Georgia's sustainable development. In the framework of sustainable economic developments have been discussed already implemented reforms and legislative changes, as well as underlined an importance of future goals which have to be achieved.

3.2. "Research of experts' and travelers' analyzes, their motivations and impressions on tourism development in Georgia" – A survey of travelers' motivations and impressions related to tourism development in Georgia and a survey of tourism experts have been conducted to analyze the findings and recommendations. Based on the empirical research, were discussed actual issues of increasing tourist flows from EU member states and were identified the main conditions for promoting sustainable and high quality tourism.

The dissertation highlights the problem of promoting sustainable tourism and the need to bring it closer to European standards of legislative and public policy, which is on the agenda as a result of increased tourist flows. Have been highlighted an importance of the issues like: negative impact of mass tourism, the need to introduce the licensing and high standards of business ethics in the tourism business based on European experience.

At the end of the paper is given a conclusion and are elaborated recommendations. The findings emphasize that international tourism flows between EU member states and Georgia play an important role in the development of tourism in Georgia, as travel expenses from EU countries are three times higher than those of neighboring or other countries. In order to meet the objectives of the National Tourism Strategy of Georgia and to promote sustainable and high-quality tourism, reforms need to be implemented more rapidly to approximate to European standards, which will have a positive impact on Georgia's sustainable economic development.

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა.** საერთაშორისო ტურისტული ნაკადები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ბოლო წლებში გაიზარდა. ამის მიუხედავად, დღესდღეობით ჯერ კიდევ სირთულეებს აწყდება 2015 წელს მიღებული „საქართველოს ტურიზმის ეროვნული სტრატეგია 2025“ მიზნების მიღწევა, საერთაშორისო ტურისტული ნაკადების დივერსიფიცირება და მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობა. საქართველოს ტურისტული ექსპორტი ძირითადად დამოკიდებულია მეზობელი ქვეყნებიდან შემოსულ ტურისტულ ნაკადებზე და ნაკლებად არის დივერსიფიცირებული.

საქართველო, ევროპული და ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფო, რომელმაც ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია სტრატეგიულ მიზნად გამოაცხადა, ცდილობს კანონმდებლობის ევროკავშირთან ჰარმონიზაციას, ევროპული საუკეთესო პრაქტიკის გადმოტანას და ისწრაფვის გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა. აღნიშნული მიზნის შესაბამისად, 2014 წლის ივნისში ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმებით, რომელიც ძალაში 2016 წლის 1 ივლისს შევიდა. 2017 წლიდან საქართველოს მოქალაქეებზე დაშვებულ იქნა მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლა შენგენის ზონაში. მიმდინარე ცვლილებების ფარგლებში, საერთაშორისო ტურისტული ნაკადები საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის მეტნაკლებად გაიზარდა.

გამომდინარე საქართველოს ტურისტული პოტენციალისაგან, რესურსებისა და ტურიზმის როლისაგან ქვეყნის მომსახურების სექტორში, ტურიზმის სექტორი ეკონომიკის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად მიიჩნევა. 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში მიმდინარეობს ევროკავშირის კანონმდებლობასთან თანმიმდევრული დაახლოების პროცესი. საკანონმდებლო სფეროს რეფორმები და სხვა ცვლილებები, რაც ბოლო 25 წელზე მეტია გატარების პროცესშია, არის ეკონომიკური და დემოკრატიული ტრანზიციის ნაწილი, რომლის მიზანიც ნათლად არის ჩამოყალიბებული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში: „საქართველოს სუვერენული არჩევანია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა

და ევროკავშირში ინტეგრაცია, რაც განამტკიცებს ქვეყნის უსაფრთხოებას და უზრუნველყოფს მის სტაბილურ განვითარებას“.<sup>1</sup> საქართველოში განხორციელებული რეფორმებისა და ევროპული ორგანიზაციების, მათ შორის ევროკავშირის წევრობის მიზნებისაგან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო არის ჩართული ევროპიზაციის პროცესში.<sup>2</sup>

ევროპიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულადაა განმარტებული სხვადასხვა თეორიულ ჭრილში, ძირითადად მოიცავს ევროკავშირის სამართლის (acquis communautaire) გადმოტანას, კარგი მმართველობის დამკვიდრებას, დემოკრატიული ღირებულებების პატივისცემას, ადამიანის უფლებების დაცვას, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დაცვას და ა.შ., რაც, ბუნებრივად, დაკავშირებულია რეფორმებთან ჰარმონიზაციის მსურველ ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმება არ წარმოადგენს ევროკავშირის წევრობის ფორმალურ ნაბიჯს, ის ასევე არ გამოიცხადებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, რადგან მასში ხაზგასმულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები, არჩევანი და ის, რომ „შეთანხმება არ ზღუდავს და ღიას ტოვებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების სამომავლო პროგრესული განვითარების გზას“.<sup>3</sup> ევროკავშირთან დაახლოების პროცესში მიმდინარეობს რეფორმები მთელ რიგ სფეროებში, რომლებიც საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ სტრატეგიულ დარგზე, ტურიზმზეც ახდენს გავლენას. აქტუალურია შესწავლილ იქნას ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესების გავლენა ტურიზმის სფეროზე და მოხდეს მათი თეორიზაცია, რათა ხელი შეეწყოს მომდევნო კვლევებს ტურიზმის დარგის ევროპიზაციის განხრით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის კვლევა, თუ რა

---

<sup>1</sup> საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx>

<sup>2</sup> ევროპიზაცია ევროპული კვლევების ჭრილში მოიცავს სხვადასხვა პროცესებსა და პოლიტიკურ პრაქტიკას, რაც გამოწვეულია ევროკავშირის კანონმდებლობისა და ნორმების გადმოტანით

<sup>3</sup> საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 200/42, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, თბილისი, 2014, [https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/association\\_agreement.pdf](https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/association_agreement.pdf)

გავლენა აქვს ტურიზმზე ევროკავშირს, როგორც ორგანიზაციას და მის სხვადასხვა პოლიტიკას, რათა უფრო ეფექტურად დაცულ იქნეს საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის ინტერესები საერთაშორისო დონეზე და პასიური კანონმდებლობის განხორციელებიდან გადავიდეს აქტიურ საექსპერტო-საკონსულტაციო როლზე იმის ფარგლებში, რაც ევროკავშირის არაწევრ ქვეყანას შეუძლია მოცემულ შემთხვევაში. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სტრატეგიული მიზანი არის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია, მნიშვნელოვანია საქართველო გახდეს კონკურენტუნარიანი ტურისტული დანიშნულების ადგილი ევროპული ტურიზმისათვის, ისევე როგორც ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების დანახარჯები დადებითად აისახოს საქართველოს ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე. ამ მიზნით ხდება საერთაშორისო ტურისტული ნაკადების წარმოქმნის ანალიზი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან, რაც ასევე მიმდინარე ეტაპზე მნიშვნელოვანია, რათა გადაიჭრას მდგრადი და ხარისხზე ორიენტირებული ტურიზმის განვითარების სტრატეგიული ამოცანა.

ევროკავშირის კანონმდებლობისა და ნორმების მიღება შესწავლილია ძირითადად წევრ და კანდიდატ ქვეყნებში და შექმნილია ევროპიზაციის მოდელები. საქართველო არ არის ჯერ-ჯერობით კანდიდატი, შესაბამისად ტურიზმის ევროპიზაცია საქართველოს მაგალითზე არის „ევროკავშირის გარეთ/მიღმა ევროპიზაცია“. განსაკუთრებით საყურადღებოა საერთაშორისო ტურისტული ნაკადების თავისებურებების კვლევა, რაც მოიცავს ნაკადების მოცულობის, საჭიროებებისა და არჩევანის კვლევას; მნიშვნელოვანია დარგობრივი პოლიტიკისა და კანონმდებლობის შესწავლა, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს საერთაშორისო ტურისტული ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის. კვლევის პროცესში ასევე გაანალიზებულია ევროკავშირის ქვეყნებში ტურიზმის ინდუსტრიის შემადგენელი ნაწილების გამოცდილება, როგორცაა ტურისტული კომპანიები, განთავსების საშუალებები, გიდები, კვებისა და გართობის ობიექტები. **ნაშრომში ყურადღება ეთმობა ტურიზმის პოლიტიკის განხორციელების, ექსპერტთა მოსაზრებებისა და თავად ტურისტთა**

## განწყობის კვლევას.

დისერტაციის კვლევის მიზანია საერთაშორისო ტურისტული ნაკადების შესწავლა ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის, რასაც მნიშვნელოვანი როლი უჭირავს საქართველოს ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორის განვითარებაში. ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მხრივ ტურიზმის სფეროში, ისევე როგორც გაანალიზებულია საერთაშორისო ტურისტული ნაკადების ფორმირების ფაქტორები და დადგენილია მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობის წინაპირობები.

### კვლევის ამოცანები შემდეგია:

- ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის საერთაშორისო ტურისტული ნაკადების განსაზღვრა;
- საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება;
- ტერმინების განმარტება; საკანონმდებლო და დარგობრივი პოლიტიკის დოკუმენტების შესწავლა;
- ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორში მიღწეული პროგრესის კვლევა და განსაზღვრა, თუ როგორ ხდება დარგობრივი პოლიტიკის სფეროს (ტურიზმი) ევროპიზაცია ევროკავშირის წევრ და არაწევრ ქვეყნებში;
- ძირითადი გამოწვევებისა და შესაძლებლობების წარმოჩენა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება მდგრადი და ხარისხზე ორიენტირებული ტურიზმის ინდუსტრიისათვის საქართველოში.

საკვლევი პრობლემატიკის მრავალმხრივად შესწავლის მიზნით, სადისერტაციო ნაშრომი პასუხობს შემდეგ კითხვებს:

- რატომ აქვს მნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო ტურისტულ ნაკადებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შორის საქართველოს ტურიზმის განვითარების ჭრილში?
- რა პროგრესს მიაღწია საქართველომ ევროპული სტანდარტებისა და მიდგომების დანერგვის კუთხით და რა ძირითადი გამოწვევები



რჩება ტურიზმის სექტორს განვითარების პროცესში?

- რამდენად შესაძლებელია ევროკავშირის კანონმდებლობისა და პოლიტიკური მიდგომების გადმოტანა ტურიზმში?

განვითარებული **ჰიპოთეზის** თანახმად, ევროპულ ინტეგრაციას აქვს პოზიტიური გავლენა საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაზე. ნაშრომში წარმოდგენილი კვლევები ამტკიცებს ზემოაღნიშნულ ჰიპოთეზას, იმის შესახებ რომ ევროპულ სტანდარტებთან და ნორმებთან დაახლოება ტურიზმის სფეროში დადებითად აისახება საერთაშორისო ტურისტულ ნაკადებზე ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის.

მოცემული **დისერტაციის კვლევის საგანია** საქართველოს ტურიზმის ინდუსტრია. **კვლევის ობიექტია** საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ტურისტული ნაკადები (ტურისტული ნაკადების თავისებურებები ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის, საკანონმდებლო ბაზა და ტურიზმის პოლიტიკის ინსტიტუციური აქტორები საქართველოსა და ევროკავშირის დონეზე).

წინამდებარე დისერტაციის ძირითადი **საკვლევი პერიოდია 2013-2019 წლები**. ეს პერიოდი საქართველოში დაკავშირებულია საერთაშორისო ტურისტული ნაკადების სწრაფ ზრდასთან და ეკონომიკურ რეფორმებთან. გარდა ამისა, 2015 წელს მიღებულ იქნა „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, რომელმაც ხაზი გაუსვა ტურიზმის სტრატეგიულ მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკაში. კვლევის პერიოდს მიღმა არსებული ფაქტები და მონაცემები მოტანილია მხოლოდ ქრონოლოგიური ან განმარტებითი თვალსაზრისით, ან როდესაც მათ დამატებითი მნიშვნელობა გააჩნიათ ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობის მიმოხილვის მხრივ<sup>4</sup>.

**კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები.** კვლევის სტრუქტურა არსებული რესურსების პირობებში დასახული მიზნისა და ამოცანების მაქსიმალურად სრულყოფილად მიღწევაზეა ორიენტირებული.

---

<sup>4</sup> 2020 წლის 31 იანვარს გაერთიანებულმა სამეფომ ევროკავშირი დატოვა. მიმდინარე კვლევაში ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებში მოცულია გაერთიანებული სამეფო ამ თარიღამდე.

გამოყენებულია თეორიული და ემპირიული კვლევის (თვისებრივი და რაოდენობრივი) მეთოდები. მონაცემების ანალიზისას გამოყენებულ იქნა დიალექტიკური, სინთეზური, სისტემური, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები (თავი III.).

ნაშრომის თეორიული კვლევა რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება. უპირველეს ყოვლისა, გამოკვლეულია პირველადი, მეორეული და მესამეული წყაროები საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. გამოყენებული პირველადი წყაროებია საქართველოს და ევროკავშირის (მათ შორის ცალკეული წევრი ქვეყნების) კანონმდებლობა, საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები. ნაშრომში ემპირიული კვლევა განხორციელებულია თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებით. თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფების დისკუსიები ტურიზმის სექტორის დაინტერესებულ მხარეებთან, საჯარო მოხელეებთან ექსპერტების მონაწილეობით. 2017 წელს ჩატარდა 14 ჩაღრმავებული, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ ევროპიზაციისა და ტურიზმის სექტორის რეფორმებში ჩართულ საჯარო მოხელეებთან და ექსპერტებთან, რომლებიც 2013-2017 წლებში მოღვაწეობდნენ ამ სფეროში. რესპონდენტებთან დასმული კითხვები ეხებოდა ტურიზმის სექტორს და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციასა და მიღებული კანონების იმპლემენტაციას. ოთხი ფოკუს ჯგუფის დისკუსია 3-8 ტურიზმის სექტორში ჩართული პირების მონაწილეობით ჩაიწერა და გაანალიზდა. კვლევაში გაანალიზებულია 5 ტელეგადაცემაში წამოჭრილი პრობლემატიკა რომელიც ეხებოდა ტურიზმის თემას, 3-5 მონაწილით (მედია-კავშირი ობიექტივი, გადაცემა „აღმოაჩინე საქართველო“), რომელთაც დისერტაციის ავტორი უძღვებოდა. დისკუსიის საგანი იყო ტურიზმის ინდუსტრია საქართველოში და მისი ევროკავშირის ქვეყნების სტანდარტებთან დაახლოება. რაოდენობრივი კვლევა მოიცავს სტატისტიკურ და რაოდენობრივ ინფორმაციას ტურიზმის სექტორში საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში 111 საქართველოს უცხოელ ვიზიტორს ჩაუტარდა გამოკითხვა, რომლებმაც განახორციელეს ტურისტული მიზნით ვიზიტი საქართველოში.

კითხვარები გავრცელდა ტურისტული სააგენტოების ონლაინ კონტაქტების საშუალებით. ასევე გამოიკითხა 100 ტურისტი საქართველოდან, რომლებიც შენგენის ზონის ქვეყნებში ტურისტულად იმყოფებოდნენ 2017 წლის მარტამდე (ვიზალიბერალიზაციამდე) და მას შემდეგ; გამოკვლევულ იქნა მათი, როგორც ვიზიტორების განწყობა და შთაბეჭდილებები ტურისტულ მომსახურებებსა და ობიექტებთან მიმართებაში. რაოდენობრივი კვლევის შედეგები დამუშავებულ იქნა SPSS პროგრამაში.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე.** სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული ღირებულება დაკავშირებულია თემის აქტუალობასთან - იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო ტურისტული ნაკადები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ბოლო წლებში გაიზარდა, დღეს-დღეობით ჯერ კიდევ სირთულეებს აწყდება მიზნების მისაღწევად 2015 წელს მიღებული „საქართველოს ტურიზმის ეროვნული სტრატეგია 2025“, საერთაშორისო ტურისტული ნაკადების დივერსიფიცირებისა და მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობის მიმართულებით. კვლევის მეცნიერულ სიახლეს შეადგენს ევროპიზაციის ჭრილში ტურიზმის ინდუსტრიის კვლევის შედეგად მიღებული შედეგები და რეკომენდაციები რომელთა პრაქტიკაში დანერგვა და განხორციელება დადებითად აისახება საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის მაღალ ხარისხზე ორიენტირებული ტურისტული ნაკადების ზრდაზე და საქართველოს ევროპულ სტანდარტებთან და ნორმებთან დაახლოებაზე, რომელიც მთლიანობაში ხაზს უსვამს საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მდგრად განვითარებას - **„მეტი ევროპა საქართველოში და მეტი საქართველო ევროპაში“**.

**კვლევისა და ანალიზის შედეგად ნაშრომში ჩამოყალიბებულია შემდეგი მეცნიერული სიახლეები:**

1. გამოკვლევული და შედარებულია საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების ტურიზმის საკანონმდებლო და საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები, რის საფუძველზეც გამოვლინდა რიგი გამოწვევები. კვლევის პროცესში შემუშავებულ იქნა გამოწვევების მოსაგვარებლად რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს ევროპულ სტან-

დარტებთან დაახლოებასა და მაღალ ხარისხზე ორიენტირებული ტურისტული მომსახურების გაწევას;

2. შესწავლილი და გაანალიზებულია ტურიზმის სტატისტიკის თანამედროვე მეთოდოლოგია და შედარებულია საქართველოში არსებულ პრაქტიკასთან. გამოკვეთილი და აღიარებულია ტურიზმის სატელიტური ეროვნული ანგარიშის შექმნის მნიშვნელობა რადგან სტატისტიკის უკეთესი წარმოება გააუმჯობესებს ტურიზმის ნაკადების კვლევას საქართველოსა და ევროკავშირს შორის ისევე როგორც დადებითად იმოქმედებს ტურისტული ბიზნესის შესწავლაზე;
3. განხილული და გამოკვეთილია საერთაშორისო ტურიზმის კავშირი გლობალიზაციის პროცესებთან, როგორც შეუქცევადი პროცესი ტურიზმის განვითარების დროს.
4. გამოკვლეული და შეფასებულია საერთაშორისო ტურისტული ნაკადების ფორმირების პირობები და ფაქტორები, რის საფუძველზეც შემუშავებულ იქნა საქართველოს მაგალითზე მორგებული ინოვაციური მოდელი, ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში მაღალგადახდისუნარიანი ტურისტული ნაკადების მოსაზიდად.
5. საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის ფარგლებში ტურიზმის სფეროზე არსებული გავლენის დასადგენად, შედარებული და გაანალიზებულია მიმდინარე ასოცირების შეთანხმების და პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მიზნები. აღნიშნულის საფუძველზე გამოიკვეთა რომ ასოცირების შეთანხმებით საქართველოს არ აქვს პირდაპირ ტურიზმის დარგში საკანონმდებლო ცვლილებების მიღების ვალდებულება, რაც ნიშნავს იმას, რომ პირობითობის არარსებობა ტურიზმის სფეროში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობაში განაპირობებს იმ ფაქტს, რომ არ ხდება ძირეული რეფორმების გატარება.
6. შესწავლილი და გაანალიზებულია ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა სტატისტიკა ტურისტ-

ტა საშუალო დანახარჯების, მოგზაურობის მთავარი მიზნებისა და ვიზიტით კმაყოფილების მიმართულებით, რის საფუძველზეც გამოკვეთილია არსებული გამოწვევები და შემუშავებულია რეკომენდაციები.

7. ემპირიული კვლევის საფუძველზე გამოკვლეული და გაანალიზებულია საქართველოს ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული ექსპერტთა თვალსაზრისი, მოგზაურთა მოტივაციები და შთაბეჭდილებები.
8. შემუშავებულია დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ტურისტული ნაკადების ზრდასთან. აღნიშნული კი დადებითად აისახება საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მდგრად განვითარებაზე.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.** სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლეები, დასკვნები, შედეგები თუ პრაქტიკული რეკომენდაციები, შეიძლება გამოყენებულ იქნას ტურიზმისა და ევროპიზაციის მკვლევარების, საჯარო მოხელეების, კერძო, არასამთავრობო ან საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული პირების მიერ პრაქტიკული და თეორიული მიზნებისათვის. კვლევაში გამოყენებული მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას საგანმანათლებლო მიმართულებით როგორც პროფესიული ასევე უმაღლესი განათლების მიმართულებით სასწავლო ლექცია, სემინარებისა და პრეზენტაციების დროს.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავისა და დასკვნისაგან. იგი მოიცავს 165 გვერდს, რომელშიც გამოყენებულია სტატისტიკური მონაცემები 25 ცხრილისა და 9 დიაგრამის სახით. ნაშრომის ბოლოს თავმოყრილია 119 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია და 4 დანართი.

#### **ნაშრომის მოკლე შინაარსი**

სადისერტაციო ნაშრომი, „საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ტურისტული ნაკადების ზეგავლენა საქართველოს ტურიზმის განვი-

თარებაზე“, ეხება საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ტურისტული ნაკადების შედეგად გამოწვეული პრობლემატიკის იდენტიფიცირებას და მათ ზეგავლენას საქართველოს ტურიზმის განვითარებაზე, ისევე როგორც იკვლევს და განსაზღვრავს საქართველოს ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორში მიღწეულ პროგრესს, თუ როგორ ხდება დარგობრივი პოლიტიკის სფეროს (ტურიზმი) ევროპიზაცია ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში. ნაშრომში შესწავლილია ტურიზმის საკანონმდებლო და დარგობრივი პოლიტიკის დოკუმენტები, გაანალიზებულია ტერმინთა განმარტებები, ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის პროცესი.

შესავალში განმარტებულია თემის აქტუალობა; დასაბუთებულია კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის სფერო, ობიექტი და საგანი, კვლევის მეთოდები; წარმოდგენილია საკვლევი პერიოდი და თავმოყრილია შეკითხვები, რომლებსაც პასუხობს სადისერტაციო ნაშრომი; ჩამოყალიბებულია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტერატურის მიმოხილვაში შესწავლილია ტურიზმის ინდუსტრიის, საერთაშორისო ტურისტული ნაკადების ფორმირების, გლობალიზაციისა და ევროპიზაციის შესახებ ქართველი და უცხოელი მკვლევარების მიერ ჩატარებული კვლევები და განხილულია მათი მოსაზრებები, მიდგომები და მიგნებები ზემოაღნიშნული დარგების მიმართ.

ნაშრომის პირველი თავი: „საქართველოსა და ევროკავშირის ტურიზმის განვითარების ტენდენციები და დღევანდელი მდგომარეობა“ შედგება ოთხი ქვეთავისაგან.

პირველ ქვეთავში „საქართველოს ტურიზმის სექტორის პოტენციალი, ძირითადი გამოწვევები და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე“ - მიმოხილულია და გაანალიზებულია ის კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც ვითარდება საერთაშორისო ტურისტული ნაკადები საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის. კერძოდ, ხაზგასმულია, საქართველოს ტურისტული პოტენციალი, რომელიც საქართველოს დამატებით ხიბლს სძენს რომ აღიარებულ იქნას ახალ, მსოფლიო ტურისტულ მიმართულებად. აღწერილია დარგის ძირითადი გამოწვევები, რომელიც ხელს უშლის მდგრად-

დი ტურიზმის განვითარების პროცესს და მაღალგადახდისუნარიან ტურისტულ ბაზრებთან ეფექტურ კავშირებს. ქვეყნის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებულია თუ რა გავლენას ახდენს ტურიზმში არსებული დღევანდელი მდგომარეობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

მეორე ქვეთავში „საქართველოში ტურიზმის საკანონმდებლო ბაზა და პოლიტიკა“ - განხილულია ის საკანონმდებლო ჩარჩო და პოლიტიკა, რის ფარგლებშიც მიმდინარეობს საერთაშორისო ტურისტული ნაკადების განვითარება ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შორის. განხორციელებულია ტურიზმის კანონმდებლობის ანალიზი და შედარებითი ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებულია ევროკავშირის ქვეყნების სტანდარტებთან საქართველოს ტურიზმის პოლიტიკის ჰარმონიზაციის პრობლემატიკა. შემოთავაზებულია, რომ საქართველოს კანონით მოცემული ტერმინები ევროკავშირისა და გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ ტურიზმსა და დარგთან დაკავშირებულ ტერმინებთან თანხვედრაში მოვიდეს. გაანალიზებულია დარგის მნიშვნელოვანი პოლიტიკის ინსტრუმენტი - 2015 წელს შემუშავებული საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2025.

მესამე ქვეთავში „ტურიზმის სტატისტიკის თანამედროვე მეთოდოლოგია და პრაქტიკა საქართველოში“ - მიმოიხილავს და აანალიზებს ტურიზმის სტატისტიკის წარმოების თანამედროვე მეთოდებს ევროკავშირში და ახდენს საქართველოში არსებულ პრაქტიკასთან შედარებას. ევროკავშირის ETIS მეთოდოლოგიასთან შედარებიდან ჩანს, რომ საქართველოში ტურიზმის მიმდინარე სტატისტიკის მეთოდები და საშუალებები დარგის ტენდენციებს სრულად არ ასახავს. ქვეთავში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ევროკავშირთან დაახლოების პროცესში, მნიშვნელოვანია ტურიზმის სტატისტიკის ევროკავშირის მიდგომების მიხედვით აღრიცხვა, რის საფუძველზეც ტურიზმის სატელიტური ეროვნული ანგარიშის შექმნა იქნება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი.

მეოთხე ქვეთავში „ევროკავშირის ქვეყნების ტურიზმის განვითარების ტენდენციები, კანონმდებლობისა და პოლიტიკის მიმოხილვა“ – განხი-

ლულია ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები და როლი ევროკავშირში, როგორც ორგანიზაციაში და ის, თუ როგორც ცდილობს ევროკავშირი მეტი ზეგავლენის მოხდენას მისი წევრი ქვეყნების შიდა ტურიზმის პოლიტიკაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგში ორგანიზაციულ დონეზე შედარებით ნაკლები, ე.წ. „დამატებითი კომპეტენციები“ აქვს, რომელიც ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შედეგად ამოქმედდა. ევროკავშირის ქვეყნების ტურიზმის განვითარების ტენდენციები, არსებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ანალიზი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს, როგორც განვითარებადი ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესში.

ნაშრომის მეორე თავი: „საერთაშორისო ტურიზმი და გლობალიზაცია“ შედგება ორი ქვეთავისაგან:

პირველ ქვეთავში „საერთაშორისო ტურიზმის კავშირი გლობალიზაციის პროცესებთან“ - განსაზღვრულია გლობალიზაციის ასპექტები და მათი გავლენა საერთაშორისო ტურიზმზე; გაანალიზებულია გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი შედეგები ტურიზმის ინდუსტრიისათვის. დღესდღეობით საერთაშორისო ტურიზმი გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესის ფარგლებში ვითარდება, რომელიც ადამიანთა მიმოსვლას, ისევე როგორც მომსახურებისა და საქონლის მიმოქცევას საერთაშორისო დონეზე ამარტივებს. ამდროინდელ ცივილიზებულ სამყაროში საერთაშორისო ტურიზმი განსაკუთრებით დინამიურად ვითარდება.

მეორე ქვეთავში „საერთაშორისო ტურისტული ნაკადების ფორმირების პირობები და ფაქტორები“ - განხილულია საერთაშორისო ტურისტული ნაკადების ფორმირება გლობალიზაციის კონტექსტში და შესაბამისი ხელშემწყობი ფაქტორები და პირობები. გამოკვლეულია საერთაშორისო ტურიზმის ნაკადების ფორმირების შინაგანი და გარეგანი მოტივაცია. გაანალიზებულია საერთაშორისო ტურისტული ნაკადები საქართველოში და ევროკავშირის ვიზიტორთა დამახასიათებლები. საქართველოს მაგალითზე განხილულია თუ რა ცვლადები ახდენს გავლენას საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაზე.



ნაშრომის მესამე თავი: „საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის ზეგავლენა საქართველოს მდგრადი ტურიზმის განვითარებაზე“ შედგება ორი ქვეთავისაგან:

პირველ ქვეთავში „მდგრადი და მაღალმხარჯველუნარიანი ტურისტული ნაკადების ხელშეწყობა საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის“ – განიხილა და გაანალიზდა საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის ზეგავლენა საქართველოს მდგრადი ტურიზმის განვითარებაზე. საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის ფარგლებში ტურიზმის სფეროზე არსებული გავლენის დასადგენად, შედარდა და დადგინდა მიმდინარე ასოცირების შეთანხმებისა და პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მიზნები. განიხილა ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმების სხვადასხვა ტიპები, რომელთა დახმარებითაც ხაზგასმულ იქნა საქართველოს მდგრადი განვითარების პერსპექტივები, მდგრადი ეკონომიკის განვითარების ჭრილში კი მიმოხილულ იქნა ტურიზმის ინდუსტრიის დარგში განხორციელებული და განსახორციელებელი რეფორმები თუ საკანონმდებლო ცვლილებები.

მეორე ქვეთავში „საქართველოს ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული ექსპერტთა თვალსაზრისის და მოგზაურთა მოტივაციებისა და შთაბეჭდილებების კვლევა“ - ჩატარებულია საქართველოს ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებულ მოგზაურთა, მოტივაციებისა და შთაბეჭდილებების კვლევა და ტურიზმის ექსპერტთა გამოკითხვა.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი: საერთაშორისო ტურისტული ნაკადების შესწავლა ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის, არსებული პრობლემატიკის გამოკვეთა და მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობის წინაპირობების დადგენა მკვეთრად განსხვავდება საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული კვლევებისგან რადგან 2019 წლამდე ჩატარებული არცერთი კვლევა არ ითვალისწინებს მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობის წინაპირობების დადგენას, ტურიზმის დარგში არსებული პრობლემატიკის გამოკვეთასა და კონკრეტულად ევრო-

კავშირი-საქართველოს შორის ტურისტული ნაკადების შესწავლას.

შესაბამისად, მოცემულ ქვეთავში თავმოყრილია ნაშრომის ძირითადი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგები და მათი ანალიზი.

**კვლევები ჩატარდა ხუთ ეტაპად:**

**ცხრილი 1. ავტორის მიერ ჩატარებული კვლევები**

<b>კვლევის I ეტაპი</b>	(2017 წლის ივლისის თვე) 14 ჩაღრმავებული ინტერვიუ ტურიზმის პოლიტიკის ექსპერტებთან - სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორიდან
<b>კვლევის II ეტაპი</b>	ოთხი ფოკუს ჯგუფის დისკუსია. სამ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობას იღებდნენ 3-დან 8-მდე ტურიზმის ექსპერტი და ტურისტული ინდუსტრიის მუშაკი და 1 ფოკუს ჯგუფში ჩართულ იქნა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის თანამშრომლები. (ფოკუს ჯგუფების ჩატარების თარიღები: 13.07.2017, 14.07.2017, 18.07.2017, 21.07.2017)
<b>კვლევის III ეტაპი</b>	შესწავლილი და გაანალიზებულ იქნა ტურიზმის თემაზე 5 სატელევიზიო გადაცემაში წამოჭრილი პრობლემატიკა (მედია-კავშირი ობიექტივი, გადაცემა „აღმოაჩინე საქართველო“). 1. გასტრონომია და ღვინის ტურიზმი, 09.06.2017; 2. ტურიზმში მომსახურების სტანდარტები, 05.07.2017; 3. სურსათისა და სასმელების მრეწველობა, 12.07.2017; 4. ქართული სასტუმრო ინდუსტრია, მისი პრობლემები და გამოწვევები, 19.07.2017; 5. სატრანსპორტო ინდუსტრია, 26.07.2017.
<b>კვლევის IV ეტაპი</b>	საერთაშორისო ტურისტთა ანკეტა/კითხვარი საქართველოში ტურისტული მომსახურების შესახებ. 111 რესპოდენტი (2017 წლის 4-28 სექტემბერი).
<b>კვლევის V ეტაპი</b>	საქართველოს მოქალაქეთა ანკეტა/კითხვარი, რომელთაც განხორციელებული ჰქონდათ შენგენის ზონის ქვეყნებში ტურისტული ვიზიტი. 102 რესპოდენტი (2017 წლის 4-28 სექტემბერი).

**კვლევის შედეგი.** კვლევის ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ტურიზმის სფეროში უამრავი გამოწვევაა, რომელიც არ არის ნათლად ასახული საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტატისტიკურ მონაცემებში: მომსახურების ხარისხის გამოწვევები; ტურისტული მომსახურების მიმწოდებლების მხრიდან განათლების/უცხო ენის დაბალი დონე; მომსახურების გაუმჯობესების პოლიტიკის არარსებობა; ადეკვატური კანონმდებლობის არარსებობა, რომელიც პასუხს გასცემს მიმდინარე მოთხოვნებს; ხარვეფექტიანობის პრობლემა; ცუდი ინფრასტრუქტურა; მძღოლებისა და გიდების ლიცენზირების პრობლემა;<sup>5</sup> ვარსკვლავების რეიტინგის თვითმინიჭება და სხვა;

<sup>5</sup> ინტერვიუები ჩატარდა 2017 წელს. ჯერ კიდევ არ იყო მიღებული ტაქსის ლიცენზირება.

ნაშრომში განხილული გამოწვევები პირდაპირპროპორციულად აისახება ტურისტთა კმაყოფილებაზე, ტურისტთა კმაყოფილება კი უზრუნველყოფს საქართველოში მათ განმეორებით ვიზიტს. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტატისტიკის მიხედვით ძალიან კმაყოფილ ტურისტთა რაოდენობა 53, 54 და 55 %-ს შეადგენს 2017, 2018, 2019 წლების მიხედვით, მაშინ როდესაც ჩვენს მიერ გამოკითხული ანკეტებიდან ნათელი ხდება რადიკალურად განსხვავებული ტურისტთა კმაყოფილების ინდექსი მათი საქართველოში მოგზაურობის დროს.

მხოლოდ 16 რესპონდენტი 111-დან ფიქრობს, რომ საქართველოში გარემო დაცულია და არ არის დაბინძურებული, მაშინ, როდესაც 95 გამოკითხულის აზრით, ეს ასე არ არის (ცხრილი 2.).

**ცხრილი 2. საერთაშორისო ტურისტთა პასუხები შეკითხვაზე - „მიგაჩნიათ, რომ საქართველოში არის სუფთა და კარგად დაცული გარემო?“**

	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	დაგროვილი პროცენტი
ვალიდური მნიშვნელობა 1 დიახ	16	14,4	14,4	14,4
2 არა	95	85,6	85,6	100,0
ჯამი	111	100,0	100,0	

წყარო: მონაცემები დამუშავებულია SPSS\_ში ავტორის მიერ.

ტურისტული გიდების პროფესიონალიზმთან დაკავშირებით, 31 გამოკითხული 111-დან მიიჩნევს, რომ გიდები საქართველოში იყვნენ პროფესიონალები, 80 გამოკითხული ამ საკითხს უარყოფითად აფასებს (ცხრილი 3.).

**ცხრილი 3. საერთაშორისო ტურისტთა პასუხები შეკითხვაზე - „ტურისტული გიდები, რომლებიც თქვენ გიწევდნენ მომსახურებას საქართველოში, იყვნენ პროფესიონალები?“**

	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	დაგროვილი პროცენტი
ვალიდური მნიშვნელობა 1 დიახ	31	27,9	27,9	27,9
2 არა	80	72,1	72,1	100,0
ჯამი	111	100,0	100,0	

წყარო: მონაცემები დამუშავებულია SPSS\_ში ავტორის მიერ.

მძღოლებისა და ტაქსის მძღოლების თემაზე, მხოლოდ გამოკითხულთა 14,4

% არის კმაყოფილი, მათ შორის მხოლოდ 2 ევროკავშირის მოქალაქე, ხოლო 85,6 % უარყოფითად აფასებს მძღოლების მომსახურების ხარისხს (ცხრ. 4).

**ცხრილი 4. საერთაშორისო ტურისტთა პასუხები შეკითხვაზე - „კმაყოფილი ხართ მძღოლების (მათ შორის ტაქსის მძღოლების) მომსახურებით საქართველოში?“**

	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	დაგროვილი პროცენტი
ვალიდური მნიშვნელობა 1 დიახ	16	14,4	14,4	14,4
2 არა	95	85,6	85,6	100,0
ჯამი	111	100,0	100,0	

წყარო: მონაცემები დამუშავებულია SPSS\_ში ავტორის მიერ.

მნიშვნელოვანია გამოწვევების სწორი იდენტიფიცირება, რომელსაც უნდა პასუხობდეს შესაბამისი დარგობრივი პოლიტიკა. მთელ რიგ სფეროებში ცვლილებები კი ხელს შეუწყობს საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის უკეთეს შედეგებს, მათ მდგრადობასა და მომსახურების ხარისხის ამაღლებას.

აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, ნაშრომში შემუშავებულ იქნა საქართველოს მაგალითზე მორგებული ინსტიტუციური მოდელი „აღმოაჩინე საქართველო“, ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში მაღალგადახდისუნარიანი ტურისტული ნაკადების მოსაზიდად.

**დიაგრამა 1. ინსტიტუციური მოდელი „აღმოაჩინე საქართველო“, ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში მაღალგადახდისუნარიანი ტურისტული ნაკადების მოსაზიდად**

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ.

საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან მაღალგადახდისუნარიანი ტურისტების მოსაზიდად მნიშვნელოვანია კომპლექსური მიდგომა, რომელშიც თანაბრად უნდა იყვნენ ჩართულნი შემდეგი ადგილობრივი და საერთაშორისო აქტორები:

1. საქართველოს მთავრობა - წარმოდგენილი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ;
2. ევროკავშირის ქვეყნებში არსებული საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა, საკონსულოებისა და საელჩოების სახით;
3. ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ქართული სათვისტომოები და დიასპორა;
4. საერთაშორისო პრესა და მედია;
5. ევროპელი ტურისტები ვინც უკვე იმოგზაურა საქართველოში;
6. საქართველოს კერძო სექტორი (ტურიზმის ინდუსტრიის მიმართულებით);
7. საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობა.

ყველა წარმატებული პროექტის აზრი მდგომარეობს სისტემურ მიდგომაში, როდესაც ჯაჭვური, საათისებრი მექანიზმი არის აწყობილი ერთი მიზნის მიმართულებით. როდესაც საუბარია საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან ტურისტთა ნაკადების ზრდაზე, მნიშვნელოვანია, რომ გაანალიზებულ იქნას ყველა ის აქტორი, რომელსაც შეუძლია ტურისტთა ნაკადებზე იქონიოს დიდი ზეგავლენა. აღნიშნული ინოვაციური მოდელის აზრი მდგომარეობს სისტემურ, გუნდურ და ერთიან მიდგომაში, სადაც მოთამაშე შვიდივე რგოლს გადაუნაწილდება სხვადასხვა მარკეტინგული თუ სამოტივაციო აქტივობა კონკრეტული დროის მონაკვეთში და ყველა აქტორი იტრიალებს ერთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მოდელისთვის საჭიროა სპეციალური სამოქმედო გეგმის გაწერა, სადაც ყველა მოთამაშეს ექნება საკუთარი შესასრულებელი დავალება, რომელიც იქნება გაზომვადი და შეფასებადი. სამოქმედო გეგმას უნდა ჰქონდეს კონკრეტული ვადები, წინასწარ გაწერილი სასურველი მიზნები და შედეგები.

ნაშრომის დასასრულს მომზადდა დასკვნა და რეკომენდაციები. განხორციელებული ემპირიული კვლევის საფუძველზე განხილულ იქნა ტურისტული ნაკადების ზრდის აქტუალური საკითხები ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან და მოხდა მდგრადი და მაღალხარისხიანი ტურიზმის ხელშეწყობის პირობების იდენტიფიცირება.

ნაშრომის დასასრულს მოცემულია დასკვნა და შემუშავებულია რეკომენდაციები. დასკვნაში ხაზგასმულია რომ საერთაშორისო ტურისტულ ნაკადებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შორის საქართველოს ტურიზმის განვითარების ჭრილში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს რადგან ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული მოგზაურების დანახარჯები სამჯერ აღემატება მეზობელი თუ სხვა ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების დანახარჯების რაოდენობას. იმისათვის, რომ მიღწიეს საქართველოს ტურიზმის ეროვნული სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანები და გაიზარდოს მდგრადი და მაღალგადახდისუნარიანი ტურიზმი, საჭიროა უფრო სწრაფად განხორციელდეს რეფორმები ევროპულ სტანდარტებთან დასაახლოვებლად, რომელიც დადებითად აისახება საქართველოს ეკონომიკის მდგრად განვითარებასა და წინსვლაზე.

## დასკვნა

მოცემული ნაშრომის მიზანი იყო ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შორის საერთაშორისო ტურისტული ნაკადების ზეგავლენის შესწავლა საქართველოში ტურიზმის მდგრად განვითარებაზე. ნაშრომში გაანალიზებულ იქნა თუ როგორი გავლენა იქონია საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობამ ტურიზმის მდგრად განვითარებაზე საქართველოში. ნაშრომში განხილულ იქნა საქართველოს, ევროკავშირს და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის და მდგრადი ტურიზმის მხარდამჭერი ძირითადი ფორმატები და ასპექტები, გაანალიზდა ტურიზმის განვითარებისადმი ადგილობრივი ტურისტების, ექსპერტებისა და საერთაშორისო ტურისტების განწყობა და განისაზღვრა მაღალხარისხიანი ტურიზმის ხელშემწყობი გზები. დადგინდა,

რომ საერთაშორისო ტურისტულ ნაკადებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შორის საქართველოს ტურიზმის განვითარების ჭრილში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს რადგან ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული მოგზაურების დანახარჯები სამჯერ აღემატება მეზობელი თუ სხვა ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების დანახარჯების რაოდენობას.

ნაშრომში წამოჭრილია მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობის პრობლემატიკა და საკანონმდებლო და საჯარო პოლიტიკის განხორციელების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების საჭიროება, რაც ტურისტული ნაკადების ზრდის შედეგად დღის წესრიგში დგება. წამოიჭრა ისეთი საკითხები, როგორცაა მასობრივი ტურიზმის უარყოფითი ზეგავლენის შეჩერების საჭიროება, ტურისტულ ბიზნესში საქმიანი ეთიკის მაღალი სტანდარტების შემოღებისა და ლიცენზირების საჭიროება ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ ტურიზმის სფეროში უამრავი გამოწვევაა, რომლებსაც უნდა პასუხობდეს შესაბამისი დარგობრივი პოლიტიკა. მთელ რიგ სფეროებში ცვლილებები ხელს შეუწყობს საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის უკეთეს შედეგებს, მათ მდგრადობასა და მომსახურების ხარისხის ამაღლებას. გამოკვლეული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, შემუშავებულ იქნა საქართველოს მაგალითზე მორგებული ინსტიტუციური მოდელი “აღმოაჩინე საქართველო“, რომელიც ხელს შეუწყობს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში მაღალგადახდისუნარიანი ტურისტული ნაკადების მოზიდვას.

დასკვნის სახით, შეიძლება აღინიშნოს, რომ ტურიზმის სფეროში საქართველოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების თანამშრომლობა პროგრესირებს შედარებით ნელა, ვიდრე ეს ხდება იმ სფეროებში, რომლებშიც საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში კონკრეტული ვალდებულებები აიღო. ამის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კონკურენციასთან გასამკლავებლად და ევროკავშირის ბაზრებიდან ტურიზმის გასაზრდელად, ქვეყანაში ხდება ტურიზმის სფეროს ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება თუმცა, როგორც ანალიზის საფუძველზე

ვასკვნიტ, ეს არის გაცილებით ხანგრძლივი პროცესი, ვიდრე სხვა სფერო-ებში. იმისათვის, რომ მიიღწეს საქართველოს ტურიზმის ეროვნული სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანები და გაიზარდოს მაღალგადახდისუნარიანი ტურიზმი და მოხდეს მდგრადი ტურიზმის განვითარება, საჭიროა უფრო სწრაფად განხორციელდეს რეფორმები ევროპულ სტანდარტებთან დასაახლოებლად. ნაშრომში განხორციელებული ემპირიული კვლევების საფუძველზე ტურისტების, ტურიზმის ექსპერტებისა და წარმომადგენლების მოლოდინი განსხვავდება ტურიზმის დარგში ევროპული სტანდარტების დამყარებისადმი. მაშინ, როდესაც ტურისტები მოელიან გაზრდილ სტანდარტებს, ტურიზმის სფეროში ჩართული ოპერატორებისათვის ეს შეიძლება წნეხი იყოს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საჭიროა შემუშავდეს ტურიზმის ეროვნული პოლიტიკა, რომელიც გაითვალისწინებდა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების პროცესს და ხელს შეუწყობდა რეფორმებს ისეთი სახით, რომ მოხდეს ევროკავშირის ქვეყნებიდან მდგრადი და მაღალმხარჯველუნარიანი ტურისტების მოზიდვა, რომელიც დადებითად აისახება საქართველოს ეკონომიკის მდგრად განვითარებასა და წინსვლაზე.

**რეკომენდაციები - ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან საქართველოში მდგრადი და მაღალხარისხიანი შემომავალი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის**

1. ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმის სტრატეგიული მნიშვნელობის გაზგასასმელად, ცალკე უწყების, ტურიზმის სამინისტროს შექმნა, რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება ყველა რეგიონთან და მუნიციპალიტეტთან. ტურიზმის სამინისტროს მაგალითი გვხვდება ევროკავშირის იმ წევრ ქვეყნებში, რომლებშიც ტურიზმს მნიშვნელოვანი როლი უჭირავს;

- **სატრანსპორტო ინდუსტრიის რეგულირება:** საჭიროა მიღებულ იქნას ტრანსპორტის მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომელიც ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი იქნება. ტურიზმის გადაზიდ-



ვებში ჩართული ტრანსპორტი უნდა იყოს შესაბამისად ლიცენზირებული და პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებული, რომ მინიმუმამდე შემცირდეს საგზაო შემთხვევების საფრთხე.

- **პირდაპირი ავიახაზების ხელშეწყობა:** ქვეყანაში მეტი პირდაპირი ავიახაზების შემოსვლა პოზიტიურად აისახება საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაზე. შესაბამისად, საჭიროა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან და ავიაკომპანიებთან გაგრძელდეს დიალოგი.
- **ტურიზმის ინფრასტრუქტურა უნდა მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში:** საჭიროა ჩატარდეს უკვე არსებული ინფრასტრუქტურის პერიოდული შემოწმება და განახლება, რომ ის იყოს უსაფრთხო ვიზიტორებისათვის და ადგილზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის. საგზაო ნიშნები და ინფრასტრუქტურა უნდა იყოს მაქსიმალურად გამართული, რომ განვითარდეს ტურიზმი ქვეყნის ყველა კუთხეში. საჭიროა ტურისტული დანიშნულების ადგილები, თუ ეს შესაძლებელია მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს შეზღუდული მობილობის მქონე პირთათვის.
- **ტურიზმის სეზონურობის დაძლევა:** სასურველია თითოეულმა რეგიონმა და მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს ტურიზმის სეზონურობის დასაძლევ სტრატეგია და გეგმები. სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას ოთხი სეზონის განმავლობაში. შესაბამისად, საჭიროა ტურიზმის პოლიტიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაძლიერება.
- **ტურიზმის გათვალისწინება სხვა დარგის პოლიტიკის შემუშავების დროს:** როდესაც მუშავდება სხვა დარგის კანონმდებლობა და პოლიტიკა, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა საჭიროა გაითვალისწინონ გავლენა ტურიზმზე. ეს ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებაზე ნეგატიური ზეგავლენის შემცირებას და მდგრადი ტურიზმის განვითარებას, როგორც ეს სტრატეგიით არის გათვალისწინებული.
- **საქართველოს, როგორც უნიკალური და განსხვავებული ტურისტული დესტინაციის პოპულარიზაცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში:**

გამომდინარე იქედან, რომ ტურისტული დანიშნულების ადგილის რეკლამირება უკავშირდება ქვეყნისადმი მოგზაურთა ინტერესის ზრდას, საქართველოს შესახებ საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებას კვლავ ხელი უნდა შეეწყოს. შესაძლებელია გაზიარებულ იქნას ევროპული ქვეყნების გამოცდილება და გაიხსნას საქართველოს ტურისტული წარმომადგენლები ყველაზე მნიშვნელოვან სამიზნე ბაზრებზე. საჭიროა მეტი სტატიების, გადაცემების ხელშეწყობა სამიზნე ევროკავშირის ქვეყნების ეროვნული დაფარვის მქონე მედია საშუალებებში. ქვეყანაში უნდა გაიმართოს სხვადასხვა ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმს, როგორცაა ფესტივალები, კონცერტები, ტურისტული გამოფენები, ა.შ.

- **იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შესატანად დამატებითი კულტურული და ბუნებრივი ძეგლების წარდგენა:** იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები ზრდის კულტურული ტურიზმის ნაკადებს სხვადასხვა მსოფლიო დესტინაციებში. საქართველოში რამდენიმე კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლი არის იუნესკოს მიერ დაცული. ამ სიის კანდიდატობა და მეტი ობიექტების შეტანა ხელს შეუწყობს მათ დაცვას, ისევე როგორც ტურიზმის განვითარებას. საჭიროა დაფინანსდეს ახალი არქეოლოგიური ექსპედიციები, რომ განვითარდეს ახალი კულტურული ტურიზმის მარშრუტები და შესაბამისად დაცულ იქნას უკვე არსებული ობიექტები.
- **ევროკავშირის თვინინგის პროექტებში მონაწილეობა:** ევროკავშირის დაფინანსებით პროექტებში მონაწილეობა მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ევროკავშირის გამოცდილების გასაზიარებლად. თუმცა, ეს პროექტები სასურველია განხორციელდეს კონკრეტული მიზნების მისაღწევად და რეალური გამოწვევების გადასაჭრელად. ქართულმა მხარემ უნდა იმუშაოს ევროპელ პარტნიორებთან და განავითაროს მეტი საერთაშორისო პროექტი.

## 2. მომსახურების სფეროში ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების

### დანერგვა:

- მაღალი დონის კვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა: ევროკავშირის ქვეყნებიდან ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია. კვების უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები უნდა დაინერგოს შესაბამისი კანონმდებლობით, კონტროლის მექანიზმებით და კვებითობიექტის მფლობელთა განათლების ამაღლებით ამ სფეროში.
  - ვარსკვლავების სქემისა და გარემოსდაცვითი რეიტინგის ნებაყოფლობითი დეკლარირების ნაცვლად ეროვნული სტანდარტის შემუშავება, რომელიც საერთაშორისო სქემებს დაეფუძნება. შესაბამისი სტანდარტის არსებობა აამაღლებს განთავსების საშუალებების სტანდარტებს.
3. საგადასახადო კოდექსის შეცვლა: მიმდინარე საგადასახადო კოდექსი არ არის მოქნილი და ტურიზმის სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული. საჭიროა წახალისდეს ტურიზმის სექტორი საგადასახადო შეღავათებით.
4. მდგრადი ტურიზმის განვითარებისათვის, საჭიროა ტურიზმის სფეროში განათლების, მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელშეწყობა. უნდა გაიზარდოს ტურიზმის სამეცნიერო კვლევების დაფინანსება;
- გიდისა და მძღოლის პროფესიის რეგულირება: საჭიროა შემუშავდეს სტანდარტები ტურისტული გიდებისა და მძღოლების მომსახურების სფეროში. ევროკავშირის რიგ ქვეყნებში არსებული გიდებისა და მძღოლების ლიცენზირების გამოცდილება შეიძლება გადმოტანილი იქნას ქართული ლიცენზირების მოდელის შემუშავების დროს.
5. ტურიზმის სფეროში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა, რომ შემცირდეს მასობრივი ტურიზმის ნეგატიური ზეგავლენა;
6. მდგრადი და ეკოლოგიური ტურიზმის მხარდაჭერა. მდგრადობის შესახებ და გარემოს დაცვის განათლების გაზრდა საზოგადოებაში შესაბამისი საგანმანათლებლო ღონისძიებებით;
7. ტურისტის, როგორც მომხმარებლის უფლებების უკეთესი დაცვა, შეცდომაში შემყვანი მარკეტინგული აქტივობებისა და ტურისტული

პროდუქტების გაყიდვისგან დაცვა.

8. ცნობადობის ამალგა კანონების, ადამიანის უფლებების პატივისცემის შესახებ, რომ თავიდან აცილებულ იქნას კონფლიქტი;
9. ხელი შეეწყოს რეგიონალურ თანამშრომლობას, მშვიდობიან პოლიტიკას და ქვეყნის უსაფრთხოებას, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ტურისტული ნაკადების ზრდას ევროკავშირის ქვეყნებიდან;

## ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა ორი კოლოკვიუმი და ერთი სემინარი. მეორე სემინარი დაცულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ევროპული კვლევების ინსტიტუტში, ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობით გადმოსვლამდე პერიოდში, რომელიც შემდგომ აღიარებულ იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ.

### კოლოკვიუმები:

1. კოლოკვიუმი I – “საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის ისტორია ტურიზმის განვითარების ჭრილში“ (25.02.2019)
2. კოლოკვიუმი II – „საერთაშორისო ტურიზმის კავშირი გლობალიზაციის პროცესებთან“ (11.07.2019)

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ

### პუბლიკაციებში:

1. „საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის ზეგავლენა საქართველოს მდგრადი ტურიზმის განვითარებაზე“, ავტორი: ნინო კველიძე. ჟურნალი „ეკონომიკა“, N 1-2, 2020, გვ. 102-112.
2. „მდგრადი და მაღალმხარჯველუნარიანი ტურიზმის ხელშეწყობა საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის“, ავტორი: ნინო კველიძე. ჟურნალი „ეკონომიკა“, N 1-2, 2020, გვ. 128-135.
3. “საქართველოს ტურიზმის სექტორის გამოწვევები და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე“, ავტორები: მარინა მეტრეველი, ნინო კველიძე. სამეცნიერო ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერიგი N 3, 2019 წელი. გვ. 188-191.

4. „საერთაშორისო ტურისტული ნაკადების ფორმირება და გლობალიზაცია“. ავტორები: მარინა მეტრეველი, ნინო კეკელიძე. „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“. შრომების კრებული III, 2019 წელი, გვ. 372-379.

#### კონფერენციები

1. აბრეშუმის გზის მე-13 საერთაშორისო კონფერენცია: „ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები და ახალი გამოწვევები“. „The Europeanisation of Tourism Policy in Georgia: Challenges and Opportunities“. ავტორი ნინო კეკელიძე. 23-24 მაისი 2018 წელი. თბილისი, საქართველო.